ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №15

ქ. ახმეტა

5 ივნისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: გ. ქიტესაშვილი, თ. ბოდაველი, ა. შათირიშვილი, გ. შორთიშვილი, გ.ჯუგაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, რ. ბაღაკაშვილი, გ. მაისურაძე, თ. ბორჩაშვილი, ა. მარუქაშვილი, ნ. აბალოიძე, ბ. ჭიჭიკლიშვილი, ც. გრძელივანიშვილი, მ. ალხანაშვილი, ა. ფიცხელაური, ი. უჯირაული, ზ. გარსევანიძე, ს. იჭირაული, ა. ძეგველიშვილი, გ. უძილაური ზ. ქინქლაძე, თ. წითელაური, ა. მაილაშვილი,

სხდომა გაიხსნა $10^{00}$ საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

2. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გერმანიაში მივლინების შესახებ;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

<u>მოისმინეს:</u> ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს გააცნო საკითხი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე განსახორციელებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობით.

2017 წლის 1 ივლისამდე საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან „საჯარო სამსახურის შესახებ" 2015 წლის საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კანონის მიზნების განსხორციელებლად უზრუნველყონ თანამდებობათა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში, ხოლო შრომითი ხელშეკრულებითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასასაქმებელთა შესაბამის პოზიციებში განაწილება.

დამხმარე ან არამუდმივ ამოცანათა შემსრულებელთა შტატები უნდა ამოღებულ იქნას საშტატო ნუსხიდან და მათთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულებით აყვანილ შტატგარეშე პოზიციებიდან, დასაქმებულთა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით მოხდება საშტატო ნუსხაში შეყვანა და ძალაში შევა 2017 წლის 1 ივლისიდან.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 16 - მომხრე

6 -მა არ მიიღო მონაწილეობა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №12 – ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მოისმინეს:,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს გააცნო საკითხი:

აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილება გამოწვეულია ,,საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონის მიღებით. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან. საჭიროა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები. საკრებულოს აპარატის 9 საჯარო მოხელიდან 2 არის დამხმარე მოსამსახურე, რომლებთანაც 1 ივლისიდან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება და შტატში დარჩება 7 საჯარო მოხელე.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 16 მომხრე

6 -მა არ მიიღო მონაწილეობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №13 – „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკრებულოს სხდომას შემოემატა არჩილ შათირიშვილი და ზაქარია ქიტქლაძე.

სხდომას ესწრება 24 საკრებულოს წევრი.

~~მოხსენება~~ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გერმანიაში მივლინების შესახებ;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილი მივლინებულ იქნას გერმანიაში, ქ. ბერლინში 2017 წლის 18 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით. „ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ვიზიტი გერმანიაში თემაზე „გენდერული თანასწორობის საკითხები მუნიციპალურ დონეზე".
2. სამივლინებო ხარჯების (დღიური ნორმის) ანაზღაურება მოხდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებიდან „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება: 19 - მომხრე

5 -მა არ მიიღო მონაწილეობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №34 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გერმანიაში მივლინების შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა $13^{40}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი.